გაუმარჯოს სოციალიზმის გამარჯვებათა ორგანიზატორს—დიდ სტალინს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტური განათლება

5 დეკემბერი, 1937 წ. № 113 (418)

ფასი 10 კაპ.

სსსრ განათლების სახალხო კომისარიატის, თბილისის განათლების განყოფილების, დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის და უმაღლესი სკოლებისა და სკოლამდელთა აღზრდის მუშაკთა კავშირების ცენტრალურ გამგეობათა ორგანო

5 დეკემბერი—დიადი სტალინური კონსტიტუციის მიღების დღე—საყოველთაო სახალხო დღესასწაულია

სტალინური კონსტიტუცია

1936 წელი 5 დეკემბერი!

ამ თარიღს არასოდეს არ დაივიწყებს ისტორია, ისე როგორც დაუვიწყარია 1847 წელი—„კომუნისტური მანიფესტის“ გამოსვლის თარიღი, ისე როგორც დაუვიწყარია 1917 წლის 25 ოქტომბერი—პროლეტარული რევოლუციის დასაწყისის თარიღი.

ისტორია არ დაივიწყებს ამ თარიღს, რადგანაც ისაა გამარჯვებული სოციალიზმის პირველი კონსტიტუციის მიღების თარიღი.

ამ თარიღს არ დაივიწყებს ისტორია იმიტომ, რომ დოკუმენტში, რომელიც ამ დღეს კანონად გახდა, განსახიერებულია ათეული მილიონობით ადამიანების საუკუნეებრივი ბრძოლა ბედნიერებისათვის. მასში განსახიერებულია მონების ბრძოლა მონათმფლობელების წინააღმდეგ.

სტალინურმა კონსტიტუციამ შეაჯამა ლენინ-სტალინის პარტიის მეთაურობით საბჭოთა კავშირის მშრომელთა მკლავებდაკარწახებული მუშაობისა და შეუპოვარი ბრძოლის ორი ათეული წლის შესანიშნავი შედეგები.

სტალინური კონსტიტუცია ახაზავს მას, რაც უკვე მოპოვებული და განმტკიცებულია, ასახავს კომუნიზმის პირველი ფაზის აშენებას, ჩვენი ქვეყნის გადაქცევას უძლავრეს ინდუსტრიალურ და უდიდეს სასოფლო მეურნეობის ქვეყნად, სოციალისტური ეკონომიკის აშენების დამთავრებას, ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციას, მშრომელთა ბედნიერი და საამური ცხოვრების მოპოვებას.

ამ უდიდეს ისტორიულ გამარჯვებათა მოპოება შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ჩვენს ხალხს სათავეში უდგას ლენინ-სტალინის გმირული პარტია, სათავეში უდგას უდიდესი გენიოსი დიდი სტალინი.

ამ უდიდეს გამარჯვებათა მოპოვება შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ პარტია ამხანაგ სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით შეუბრალებლად ანადგურებდა და ანადგურებს კლასობრივ მტრებს და მათ აგენტებს—ტროცკისტულ-ბუხარინულ ავაზაკებს, სამშობლოს უსაზიზღრეს მოღალატეებს, სისხლიანი ფაშიზმის აგენტებს.

გავიდა ერთი წელი სტალინური კონსტიტუციის მიღების დღიდან. ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ხალხი ერთი წელია ცხოვრობს სტალინური კონსტიტუციის მხურვალე მზის ქვეშ. ამ ერთ წელში მშრომელთა ცხოვრება კიდევ უფრო საამური და სასიამოვნო გახდა. ახლა ქვეყანა ემზადება უზენაესი საბჭოს არჩევნებისათვის. 12 დეკემბერს ახალი კონსტიტუციის საფუძველზე 100 მილიონზე მეტი ამომრჩეველი მივა საარჩევნო ყუთებთან და გვიჩვენებს თავის შემჭიდროებას ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო, ხალხთა დიდი ბელადის — დიდი სტალინის გარშემო.

მშრომელთა ბედნიერების კონსტიტუციას ერთი წელი შეუსრულდა!

გაუმარჯოს მის შემოქმედს — დიდ სტალინს!



„ახლა, როცა ფაშიზმის მღვრიე ტალღა აფურთხებს მუშათა კლასის სოციალისტურ მოძრაობას და ტალახში სვრის ცივილიზებული მსოფლიოს საუკეთესო ადამიანთა დემოკრატიულ მისწრაფებებს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია იქნება საბრალმდებლო აქტი ფაშიზმის წინააღმდეგ, აქტი, რომელიც ლაპარაკობს იმაზე, რომ სოციალიზმი და დემოკრატია უძლეველი არიან **(ტაში)**. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია მორალური დახმარება და რეალური საყრდენი იქნება ყველა იმათთვის, ვინც ახლა ბრძოლას აწარმოებს ფაშისტური ბარბაროსობის წინააღმდეგ **(მქუხარე ტაში)**.

კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას სსრ კავშირის ხალხთათვის. თუ კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთათვის სსრ კავშირის კონსტიტუციას მოქმედებათა პროგრამის მნიშვნელობა ექნება, სსრ კავშირის ხალხთათვის მას აქვს მათი ბრძოლის შეჯამების, კაცობრიობის განთავისუფლების ფრონტზე მათ გამარჯვებათა შეჯამების მნიშვნელობა. ბრძოლისა და გაჭირვების განვლილი გზის შედეგად სასიამოვნო და სასიხარულოა გვქონდეს ჩვენი კონსტიტუცია, რომელიც ჩვენს გამარჯვებათა ნაყოფზე ლაპარაკობს. სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რისთვის იბრძოდნენ ჩვენი ადამიანები და როგორ მიაღწიეს მათ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებას. სასიამოვნო და სასიხარულოა ვიცოდეთ, რომ სისხლს, რომელიც უხვად დაღვარეს ჩვენმა ადამიანებმა, ამაოდ არ ჩაუვლია, რომ მან თავისი შედეგები მოგვცა **(ხანგრძლივი ტაში)**“.

ი. ბ. სტალინი.

მოხსენებიდან — „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ“.

რადიოგადაცემა ბელადის სახლიდან

30 ნოემბერს ქალაქ გორში მოეწყო რადიოგადაცემა იმ სახლიდან, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა მსოფლიო პროლეტარიატის ბელადმა, ბედნიერი და საამური ცხოვრების შემქმნელმა დიდმა სტალინმა.

რადიოგადაცემა მიძღვნილი იყო უზენაესი საბჭოს არჩევნებისადმი. პირველად გადაცემულ იქნა ინფორმაციული მოხსენება გორის საარჩევნო ოლქში არჩევნების მიმდინარეობაზე. შემდეგ გორის კონსერვების ქარხნის სტახანოველმა ამხ. ლ. კუსრაშვილმა ილაპარაკა, თუ როგორ გახდა სტახანოველი. გადაცემულ იქნა აგრეთვე უზენაესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატის, მინდვრის სტახანოველის ამხ. ნატალია სადაღაშვილის ბიოგრაფია.

მეორე განყოფილებაში გადაცემულ იქნა ქართლ-კახური სიმღერები ხელოვნების დამსახურებული მსახიობის მარო თარხნიშვილის ხელმძღვანელობით. პიერ კობახიძე გამოვიდა საკუთარი ლექსებით, რომლებიც მიძღვნილი იყო უზენაესი საბჭოს არჩევნებისადმი.

ნ. ჩუბინიძე

ერთი წელი

ქალაქისა და სოფლის მშრომელი მასების პოლიტიკური აქტივობის არნახული აღმავლობით შეხვდა ჩვენი ქვეყანა სტალინური კონსტიტუციის მიღებას. ამან თავის მკაფიო გამოხატულება ჰპოვა საერთო შრომითს აღმავლობაში, სტახანოვური მოძრაობის, სოციალისტური შეჯიბრების მძაფრ განვითარებაში.

იაპონია-გერმანიის ტროცკისტ-ბუხარინელთა ჯაშუშების, გამცემლების, დივერსანტების, მავნებლების ძირითადი ბუდეების განადგურებამ შექმნა ახალი შესაძლებლობანი ქვეყნის სამეურნეო განვითარებისათვის, მეტად გაზარდა მისი ძლიერება.

მიწურულში მყოფი 1937 წელი, წარმოადგენს სოციალისტური ეკონომიკის ახალ უდიდეს მიღწევათა წელიწადს. 1937 წელს ჩვენი მრეწველობის პროდუქციის ღირებულებამ 8-ჯერ გადაამეტა ომამდელს.

მიმდინარე წლის უხვი საკოლმეურნეო მოსავალი, რაც ერთნახევარჯერ აჭარბებს შარშანდელს, საყოველთაო ზრდა მოსავლიანობისა, რაც უკვე მნიშვნელოვნად აღემატება რევოლუციამდელი რუსეთის მოსავლიანობას, — ყოველივე ეს არის პირდაპირი შედეგი იმ კოლმეურნე გლეხობის ახალი, სტალინური კონსტიტუციით წარმოშობილი პოლიტიკური აღმავლობისა, რომელიც „თავის მუშაობასა და თავის დოვლათს ამყარებს არა ერთპიროვნულ შრომასა და ჩამორჩენილ ტექნიკაზე, არამედ კოლექტიურ შრომასა და თანამედროვე ტექნიკაზე“ (სტალინი).

ისტორიული დღის—5 დეკემბრის წლისთავს სოციალიზმის ქვეყანა დღესასწაულობს სსრ კავშირის ხალხთა ცხოვრებაში უდიდესი მოვლენის—სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების წინ.

დიადი სოციალისტური სახელმწიფოს მოქალაქენი თორმეტ დეკემბერს აირჩევენ თავის უზენაეს ორგანოს მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული წესით, რომელიც გამოცხადებულია სტალინური კონსტიტუციით, — საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი არჩევნებით ფარული ხმის მიცემით.

საბჭოთა ამომრჩევლების არნახული პოლიტიკური აქტივობა სსრ კავშირში არჩევნების ნამდვილი სოციალისტური დემოკრატიულობის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია. სოციალისტური სახელმწიფო მთელი მსოფლიოს წინაშე ცხადჰყოფს შეურყეველ პოლიტიკურ და მორალურ ერთიანობას თავისი ხალხისას, რომელიც ურღვევი კავშირით არის დაკავშირებული თავის მოწინავე რაზმთან—მშობლიურ კომუნისტურ პარტიასთან და რომელიც დარაზმულია ხალხთა ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო.

ქვეყნიერებაზე არ არის ძალა, რომელსაც შეეძლოს საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი მოძრაობის შეჩერება. როგორც ცოფიან ძაღლებს, ისე უსწორდება დიადი საბჭოთა ხალხი იაპონია-გერმანიის ფაშიზმის საზიზღარ დაქირავებულ აგენტებს—ტროცკისტ-ბუხარინელ ჯაშუშებსა და პროვოკატორებს. ხალხის დახმარებაზე დაყრდნობით სახელოვანმა შინსახკომელებმა სტალინის მოწაფის ნ. ი. ეჟოვის ხელმძღვანელობით, გაანადგურეს ხალხის მოსისხლე მტრების ძირითადი ბუდეები. სსრ კავშირის ხალხნი, სტალინური კონსტიტუციით შეიარაღებულნი, ბოლომდე გასწმენდენ საბჭოთა მიწა-წყალს ფაშისტური სიბინძურისაგან, მოსპობენ სოციალიზმის ყველა მტერს უკლებლივ.

გაუმარჯოს გამარჯვებულ სოციალიზმის დიად სტალინურ კონსტიტუციას!

ეს ფაქტებია და არა დაპირება

I. ბატონის ნაბუშარი

ძველად, შავბნელ წარსულში, მისი წინაპრები ბატონყმურ უღელს ისე მძიმედ არ განიცდიდნენ, როგორც სხვა დანარჩენი ყმები. ეს იყო „ბედნიერი“ შემთხვევის ბრალი. პაპა-მისი ლაზარე ქართლის დიდი მემამულის, „ბრწყინვალე“ თავადის — ამილახვრის ნაბუშარი იყო. იმ დროს ეს ფაქტი კმაროდა, რომ ლაზარე ომაძეს შედარებით ისე მძიმედ არ განეცადა ბატონყმობის უღელი. „დიდ ბატონს“ ბედშავი ლაზარე მთელ სიცოცხლეში ხელზე მოსამსახურედ ჰყავდა. „ბედნიერი“ იყო ლაზარე, მას ბატონის მეტი არავინ აწუხებდა.

— „ბიჭო ლაზარე, ცივი წყალი მომირბენინე“, — ბრძანებდა მხართეძოზე წამოწოლილი ბატონი, და ლაზარესაც ფიცხლავ უნდა შეესრულებინა ბრძანება.

— „მე თავგასახეთქო, არ იცი, რომ ნასადილევს ჩიბუხი უნდა გამაბოლო?“ — ბრძანებდა ამილახვარი და ლაზარეც სასწრაფოდ აბოლებდა ერთმეტრიან ჩიბუხს.

— „ლაზარე, ბატონს ეძინება!“ და ლაზარეც მიუჯდებოდა ფეხთით ბატონს და ფეხების ფხანას დაუწყებდა.

ძნელი და თავმოსაბეზრებელი იყო პატარა ლაზარეს ცხოვრება, მაგრამ ის მაინც ბედნიერად გრძნობდა თავს. მას უღელში არავინ შეაბამდა, შუაზამთარში ლიახვის ცივ და გაყინულ წყალში ტიტველს არავინ ჩააყენებდა და რკინის რგოლებიანი მათრახით გვერდებს არავინ აუჭრელებდა. ცხოვრობდა თავის პატარა ნაჭუჭში დიდი ბატონის პატარა ნაბუშარი.

კიდევ ერთი ბედნიერება ეღირსა ლაზარეს. ეს მაშინ, როცა ის საქორწილო შეიქნა. მას თავის თავზე არ გამოუცდია პირველი ღამის გამაწბილებელი საშინელება. დიდმა ბატონმა წყალობა მოიღო და თავისი ნაბუშარი დაინდო.

ლაზარე დაწვრილშვილდა. ახლა კი მწვავედ იგრძნო ბატონყმობის მთელი საშინელება. დღედაღამ მუშაობდა, ოფლში იწურებოდა, მაგრამ საბოლოოდ ხელში არაფერი რჩებოდა. ყველაფერი ბატონს მიჰქონდა.

ეს არც გასაკვირველი იყო. ვახტანგის კანონით ხომ „ყმისა ყველაფერი ბატონისა იყო“. ღალა, კულუხი, სარჩო, სამზითვო და, ვინ მოსთვლის, რამდენი რამ უნდა გადაეხადა მას ბატონისათვის? არ იყო მთლიანად ყმად ჩათვლილი ლაზარე, მაგრამ მაინც ხომ ნაბუშარი იყო, მაინც ხომ „უკანონოდ“ იყო დაბადებული, მაინც ხომ უგვარო იყო!

ყმის ბუტანელ მდგომარეობიდან ვერც ბატონყმობის გადავარდნამ იხსნა ლაზარე. ბატონსა და მდიდრებს გარდა ვის შეეძლო ბედნიერი ცხოვრებით დამტკბარიყო იმ დროს!?

მძიმე და დუხჭირი ცხოვრება გაატარა ლაზარეს შვილმა პატარა მიხამაც. უნო პირუტყვისებურ მდგომარეობაში მწარედ იტანჯებოდა მიხას ოჯახიც.

II. წინაპართა „მემკვიდრეობა“

მამისა და პაპის ბედი არც შვილიშვილს ასცდა. იასონ ომაძე მიხას ერთადერთი ვაჟიშვილი იყო. ბევრჯერ დაფიქრებულა მიხა პატარა იასონის მომავალზე. სოფელში ხელოსანი არავინ იყო, რომ მისთვის მიებარებია. რა უნდა ექნა მიხას? გამოსავალი არსად იყო. მამისა და პაპის მძიმე უღელი, სიღატაკის და სიბეჩავის მძიმე უღელი შვილსაც უნდა ეწია...

მოულოდნელად სოფელში გაჩნდა „მასწავლებელი“. ეს „ღვთისნიერი ადამიანი“ სწავლის ქირად, ფულს გარდა, პურსაც და სიმინდსაც ჯერდებოდა. გაეხარდა მიხას, თავისი **სასონა** (როგორც მას სოფელში ეძახდნენ) მას მიაბარა. თითქოს ბედმა გაუღიმა მიხას ოჯახს: იასონი შეისწავლიდა რამეს, ცხოვრებაში გამოადგებოდა, მტერი ადვილად ვერ დაჩაგრავდა. მაგრამ... მწარედ მოტყუვდნენ მამა და შვილი.

— „აბა, ვინ მეტყვის რამდენი ფეხი აქვს ლორს?“ „ბიჭო გიგლო, როგორ ჭყივის თქვენი ლორი, აბა თუ ბიჭი ხარ გააჯავრე მას!“ — აი, რას ასწავლიდა მათი „კეთილისმყოფელი მასწავლებელი“.

მწარედ ჩაიქნია ხელი მიხამ და შვილი სახლშივე დააბრუნა. განა ღირდა ბავშვი ამისათვის მოეცდინა? მოიყვანა გვერდზე და ამუშავებდა თავისთან ერთად.

მამა-პაპის მძიმე ხვედრი შვილის შვილს მემკვიდრეობად გადაეცა.

III. „ვით მამა-პაპა“

დაცოლშვილიანდა იასონიც. დღედაღამ წელებზე ფეხს იდგამს, მაგრამ ეს ოხერი სიღარიბე თავს მაინც არ ანებებს: ფხიზელია თუ ძილშია, მისი აჩრდილი თან დასდევს. ვერ იქნა და ვერ გამოჰკვება თავისი წვრილი ცოლშვილი. წლის ბოლოს სარჩო-საბადებელი მაინც აკლდებოდა. ცოლიც გამრჯელი შეხვდა, ქმარს მხარში უდგას, მაგრამ სარჩო მაინც აკლიათ, ტანსაცმელს მაინც ვერ იცვლიან, შვილები კი... თითქმის ყოველ წელს ემატებათ.

რა უნდა ექნა იასონს? გაძნელდა ცხოვრება, გამწარდა სიცოცხლე. მიწა მას იმდენი არ გააჩნდა, რომ ოჯახისათვის საკმაო საზრდო მოეყვანა. რაც მოჰყავდა თავის კუთვნილ მცირე მიწაზე, ისიც სოფლის წურბლებს, ჩარჩ-ვაჭრებს და „ურიადნიკ“-ჩაფრიებს მიჰქონდათ.

ოჯახი იზრდებოდა. იასონს შვილები ემატებოდა, შემოსავალი კი ყოველწლივ აკლდებოდა.

IV. დიდი ოქტომბერი

დიდი ოქტომბრის ქარიშხალმა დაამსხვრია მონობის მძიმე ჯაჭვები, აღგავა პირისაგან მიწისა პარაზიტები: კაპიტალისტები, მემამულეები, სოფლის წურბლები. რუსეთის მშრომელი მოსახლეობა თავისუფლებას ეზიარა...

მაგრამ საქართველოში კიდევ 3 წლის განმავლობაში „დემოკრატიული რესპუბლიკა“ ბატონობდა. ქართველი მენშევიკები, მეფის რუსეთის ფინია-ძაღლები, — ეს შარაგზის ყაჩაღები ყოველგვარ ბატონზე უფრო მძიმე უღლად იქცნენ ქართველი მშრომელი ხალხისათვის. მენშევიკურმა „დემოკრატიულმა“ რესპუბლიკამ ახალი ბორკილები და ხუნდები, ტირილი და გოდება მოუტანა მუშებს და გლეხებს.

დადგა საქართველოს ოქტომბერიც. 1921 წლის 25 თებერვალს აჯანყებულმა ქართველმა მუშებმა და გლეხებმა შავ ზღვაში გადაჰყარეს მენშევიკური გარეწარი-არამზადები.

გაიხარა ქართველმა მშრომელმა ხალხმა. გაიხარა საუკუნეებით ტანჯულმა გლეხობამ. 1921 წლის 25 თებერვალს მათ დიადი გამარჯვება იზეიმეს. ზეიმს არც გორის რაიონის სოფელ ფხვენისში მცხოვრები გლეხი იასონ ომაძე ჩამორჩა.

V. რაც უნდოდა, მიიღო

იასონს საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა მიწა, მისცა თავისუფლება. არავის შეუძლია ახლა მისი ნაშრომის მითვისება. ის თვითონაა თავისი თავის ბატონ-პატრონი.

ახლა იასონს მარტოოდენ ოცნება კი არ შეეძლო შვილების სწავლა-განათლებაზე, არამედ მისი ხორცშესხმაც. საბჭოთა ხელისუფლებამ სკოლები მას კარებზე გაუხსნა. შვილები უსწავლელები არ დარჩებოდნენ. იასონი შეჰხაროდა თავის პატარა ბიჭუნებს ვახტანგისა და გიორგის. ოცნებობდა იმ დღეზე, როცა ერთიც და მეორეც სკოლაში იცუნცულებდნენ.

დადგა სანეტარო დღეც. ვახტანგი ფხვენისის დაწყებითს სკოლაში მიიღეს. სკოლაში შესასვლელად ემზადებოდა აგრეთვე მეორე შვილი გიორგიც. იასონს სიხარულით თვალებში ცრემლები ერეოდა. საბჭოთა მთავრობამ მას ბედნიერება მოუტანა.

VI. „საწყალი სასონა“

ჩქარა იასონს მესამე შვილიც ეყოლა. მას ალექსანდრე დაარქვა. მესამეს მეოთხე მიჰყვა, მეოთხეს — მეხუთე და... იასონს უკვე მეშვიდე შვილიც შეეძინა. ხუთი ვაჟი და ორი ქალი.

იასონი ჩქარა თავის სოფელში არსებულ არტელ „განთიადში“ შევიდა. კოლექტივმა არამც თუ განთიადი, მას მზიანი დღეც მოუტანა. ერთგულად შრომობდა ცოლ-ქმარი: ანიკო და იასონი. ხელებიდან თითქოს ბარაქა სცვივათ. ოჯახი წინ მიდის, შეძლებული ხდება. მხიარულობს იასონის ოჯახი, ზეიმობს ბედნიერ ცხოვრებას. გასულ წელს ავადმყოფობის გამო 160 შრომადღეზე მეტი ვერ გამოიმუშავა იასონმა. წელს კი პირველი დეკემბრისათვის უკვე 305 შრომადღე აქვს გამომუშავებული.

— დეკემბრის ბოლომდე 320-დე მაინც ავიყვან ჩემს შრომადღეებს, — ამაყად იძახის იასონი.

შემოსავალი? როგორია მისი შემოსავალი?

ყოველ წელიწადს იასონის ოჯახს, გარდა თავიანთ საჭიროებისა, მუდამ აქვს ზედმეტად წლის საზრდო, რომელსაც ბაზარზე ჰყიდის და ნავაჭრს ოჯახს ახმარს.

VII. ახალ ცხოვრებას — ახალი სახლი

— ანიკო, ხომ ხედავ ახლა რამდენი ვართ ოჯახში? ცხოვრებითაც არა გვიჭირს-რა, ყველაფერი გვაქვს, მოდი, ქვითკირის სახლიც ავიშენოთ. ეს სახლი აღარ შეგვშვენის, — უთხრა მეუღლეს იასონმა ერთ დღეს და მიუთითა ყავრით დახურულ ძველ ერთოთახიან სახლზე.

აბა, რა საწინააღმდეგო ექნებოდა ანიკოს? ის მოუთმენლად მოელოდა ამ დღეს, მოელოდა და ჩქარა მისმა თვალებმა თავის საკუთარ ეზოში ორსართულიანი სახლიც დაინახა. ახლა იასონს სამი ოთახი აქვს. ორში ოჯახი ცხოვრობს, ერთი კი სასტუმროდ არის მოწყობილი. მშვენიერ სინათლიან ოთახებს ახალი ავეჯი უფრო მეტ სილამაზეს აძლევს.

— ეს ხალიჩები, რომლებიც კედელზე ჰკიდია, და შიფონერკა მხოლოდ ახლა შევიძინე. ოჯახის მთელი მოწყობილობა მხოლოდ ჩემი თავდადებული შრომით არის შეძენილი“, — ამბობს იასონი და განაგრძობს, — ოჯახს ყველაფერი აქვს, არაფერი არ აკლია. ამასწინად პატეფონიც შევიძინე.

VIII. „აი, ნამდვილი კანონი“

— კაცო, მოდი და ახლა ამ ხელისუფლებას დაემდურე, გაიგე ახალი კანონი?!

— როგორ არა! ჩვენებიანთ არჩილმა დღეს ყველას წაგვიკითხა. აი, კანონი თუ გინდა, სწორედ ეს არის. წინად მრავალი შვილისათვის ჯილდოს ვინ მოგვცემდა, ახლა კი, ხომ ხედავ, მთავრობა როგორ ზრუნავს ბავშვებზე.

— ბედნიერია, ჩემო ძმაო, ომაძეანთ სასონა, წელს ბლომად მიიღო მოსავალი. ახლა ჯილდოც ერგება, მას ხომ შვიდი შვილი ჰყავს!

— აი, ნამდვილი კანონი! — ლაპარაკობდნენ ფხვენისის კოლმეურნე გლეხები.

მართლაც და, სასიხარულო იყო მშრომელი გლეხებისათვის საკავშირო სახკომსაბჭოს და ცაკის მიერ გამოცემული ახალი კანონი მრავალშვილიან ოჯახებისათვის სახელმწიფო დახმარების მიცემის შესახებ.

გასულ წელს იასონის ოჯახმა ორიათასი მანეთი მიიღო. წლევანდელ დახმარებას კი რამდენიმე დღეში მიიღებს.

IX. უსაზღვრო ბედნიერება

იყო დრო, როდესაც იასონს ყველაზე უფრო უბედურ კაცად თვლიდნენ ფხვენისში. ახლა? — ახლა იასონი შეძლებული კოლმეურნეა, შეძლებულად ცხოვრობს.

შვიდი შვილი ჰყავს იასონს და, გარდა ერთი მცირეწლოვანი იზოლდასი, ყველა სწავლობს. უფროსმა შვილმა, ვახტანგმა (22 წლისაა) საშუალო სასწავლებელი დაამთავრა, ახლა ის წითელ ჯარშია. სამშობლოს, რომელმაც მას და მის ოჯახს ბედნიერი ცხოვრება მიანიჭა, იარაღით ხელში, იცავს. მეორე შვილი გიორგიც საჰაერო-საინჟინროზე სწავლობს. მას სურს გამოვიდეს ქვეყნის საამაყო შვილი, უშიშარი გმირი, ისეთი, როგორიც გრომოვი და ჩკალოვია. მესამე შვილი, 14 წლის ალექსანდრე, შინდისის არასრული საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოწაფეა; მეოთხე შვილი, 12 წლის თენგიზი მე-6 კლასის ფრიადოსანი მოწაფეა; მეხუთე შვილი, 10 წლის კატო, დაწყებითი სკოლის მე-3 კლასშია; მეექვსე შვილი, 8 წლის მიხეილი, მე-2 კლასის ფრიადოსანია; მეშვიდე შვილი პატარა იზოლდა კი ჯერ მხოლოდ სამი წლისაა. ის მომავალ წელს დაიწყებს საბავშვო ბაღში სიარულს.

— თუ არა საბჭოთა წესწყობილება, აბა ვინ მომცემდა მე იმდენ შეძლებას და გასაქანს, რომ ამდენი შვილისათვის მესწავლებინა? — ამბობს იასონი.

სად, რომელ დროს შეიძლებოდა, გლეხს ასე ბედნიერად და შეძლებულად ეცხოვრა?

სად, რომელ დროს შეიძლებოდა გლეხს ამრიგად დაფასებოდა შრომა, შეეძინა ქონება?

ეს შესაძლებელია მხოლოდდამხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, მხოლოდ სოციალისტური წყობილების დროს.

ახლა ჩვენში ყოველ მშრომელს, საბჭოთა კავშირის ყოველ მოქალაქეს აქვს შრომის უფლება, ეს უფლება გარანტიაქმნილია, „მათი შრომის ანაზღაურებით მისი რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად“, — ამბობს სტალინური კონსტიტუციის 118 მუხლი.

ახლა ჩვენში ყოველ მშრომელს, საბჭოთა ყოველ მოქალაქეს აქვს განათლების უფლება. ეს უფლებაც ფიქსირებულია ჩვენი კონსტიტუციის 121 მუხლით. „ეს უფლება უზრუნველყოფილია საყოველთაოსავალდებულო დაწყებითი განათლებით, უფასო განათლებით, — უმაღლესი განათლების ჩათვლით, — უმაღლეს სკოლაში მოსწავლეთა უდიდესი უმრავლესობისათვის სახელმწიფო სტიპენდიების სისტემით, სკოლებში დედაენაზე სწავლებით, ქარხნებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამანქანო - სატრაქტორო სადგურებსა და კოლმეურნეობებში მშრომელთა უფასო საწარმოო ტექნიკური და აგრონომიული სწავლების ორგანიზაციით“ — ამბობს ეს მუხლი.

— ეს უფლებები დაპირებები როდია, არა, ისინი — სინამდვილეა, ფაქტიური მდგომარეობაა. ეს უფლებები დიდი სტალინის ხელით ჩაწერილია სოციალიზმის დიად ქარტიაში — სტალინურ კონსტიტუციაში.

ბედნიერებაა ცხოვრობდე იმ ქვეყანაში, რომელსაც სტალინური კონსტიტუცია მოიცავს, ბედნიერებაა, აღჭურვილი იყო კონსტიტუციის ამ უფლებებით.

— მე არა ვარ დიდი ხნის კაცი, მხოლოდ წელს შემისრულდა 49 წელი: ვნატრობ, რატომ უფრო ახალგაზრდა არა ვარ, რომ უფრო მეტად, უფრო დიდხანს დავტკბე ბედნიერი ცხოვრებით“ — ამბობს იასონ ომაძე.

ი. ალექსიძე

სურათზე: იასონ და ანიკო ომაძეები თავისი შვიდი შვილით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარსულის მრავლისმეტყველი დოკუმენტები

*

„ძველი სკოლა წიგნური სწავლებისა და ზეპირობის სკოლა იყო, ის ათვისებინებდა ადამიანს მრავალ გამოუსადეგარ, უვარგისს, ზედმეტ, მკვდარ ცოდნას, რომლითაც უვსებდენ ახალგაზრდობას თავს და საერთო რანჟირის მიხედვით მოხელეებად აყალიბებდნენ. მაგრამ თქვენ უდიდეს შეცდომას ჩაიდენდით, თუ აქედან იმ დასკვნას გამოიყვანთ, თითქოს შესაძლებელია გახდე კომუნისტი იმის შეუთვისებლად, რაც კაცობრიობის ცოდნას დაუგროვებია. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ საკმარისია შევითვისოთ კომუნისტური ლოზუნგები, კომუნისტური მეცნიერების დასკვნები, ცოდნის იმ ჯამის შეუთვისებლად, რის შედეგია თვით კომუნიზმი“.

ვ. ი. ლენინი.

ორთავიანი არწივის ბასრ ბრჭყალებში ჩავარდნილ საქართველოში სწავლა-განათლების საქმე ისეთსავე უნუგეშო მდგომარეობაში იყო, როგორც მეურნეობისა და ცხოვრების ყველა სხვა დარგი. სკოლათა სიმცირეს, სწავლის ფულს, მასწავლებელთა მათხოვრულ მდგომარეობას, ექსპლოატატორთა კლასების უპირატესობას სკოლებში ბავშვების მიღებისას თან ერთვოდა რუსიფიკაციის ბარბაროსული პოლიტიკა, გამომათაყვანებელი ზეპირობა, იმის სწავლა, რომლის „ცხრა მეათედიც“, როგორც დიდი ლენინი ამბობდა, უსარგებლო იყო.

მუშათა და გლეხთა ინტერესების საზიზღარი გამცემლების, მემამულე - კაპიტალისტთა ერთგული მსახურების, მენშევიკების ბატონობის პერიოდში საქართველოში, ის მცირედი რამეც კი, რაც გაგვაჩნდა მეურნეობისა და კულტურის დარგში, მთლად განადგურდა.

ქვემოდ მოყვანილი დოკუმენტები გვიჩვენებენ სკოლის, მასწავლებლის, მოსწავლის, სწავლების მდგომარეობის ზოგიერთ მომენტს იმ შავბნელ პერიოდებში. ეს დოკუმენტები გვიჩვენებენ იმ სავალალო მდგომარეობას, რომელშიაც იყო განათლების საქმე ჯერ მეფის თვითმპყრობელობის დროს და შემდეგ მენშევიკურ საქართველოში.

სკოლათა და მასწავლებელთა დღევანდელი მდგომარეობის შედარებაც არ შეიძლება იმ სამწუხარო ამბებთან. მთავრობა, პარტია, პირადად დიდი **სტალინი** ყოველდღიურად ზრუნავენ განათლების საქმეზე. სტალინური კონსტიტუცია აძლევს თვითეულ მოქალაქეს განათლების უფლებას. სწავლა სავალდებულოა დაწყებითი და არასრული საშუალო სკოლის ფარგლებში. ეს უფლება, ეს ვალდებულება უზრუნველყოფილია ათიათასობით საუცხოო სკოლებით, უნივერსიტეტებით, სამეცნიერო დაწესებულებებით. მილიარდები იხარჯება სწავლა - განათლებაზე, მასწავლებელს, მოსწავლეს, სტუდენტს შექმნილი აქვს სწავლის საუცხოო პირობები, გახსნილი აქვს წინსვლის, მეცნიერების მწვერვალების დაუფლების ფართო გზა. ამ ბედნიერი ადამიანებისათვის, რომელთა უმეტესობაც ახალგაზრდობაა, შეიძლება ძნელიც კი იქნეს იმის წარმოდგენა, რაც ქვემოთ მოყვანილ დოკუმენტებშია აღნიშნული.

*

„ჩვენ არ უნდა ავიღოთ ძველი სკოლიდან ის, რაც ახალგაზრდა ადამიანის გონებას ზედმეტად ტვირთავდა უამრავი ცოდნით, რომლის ცხრა მეათედი უსარგებლო იყო და ერთი მეათედი დამახინჯებული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ დავკმაყოფილდეთ დასკვნებით და დავიზეპიროთ მარტო კომუნისტური ლოზუნგები. ამით კომუნიზმს ვერ შექმნი. კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა“.

ვ. ი. ლენინი.

*

მცხოვანი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი 1881 წელს გაზეთ „დროების“ № 50-ში სწერდა:

„ძნელად წარმოიდგენს კაცი იმაზე საძაგელ მდგომარეობას, როგორშიაც არის ჩავარდნილი ჩვენი ენის და ლიტერატურის სწავლება გიმნაზიებში, სავაჟოში თუ საქალოში. ძველს ბერძნებს ჰქონდათ ჩვეულება საძაგლათ დამთვრალი კაცი ეჩვენებინათ ხოლმე მოსწავლეებისათვის, რომ შეეძულებინათ მათთვის სიმთვრალე. ქართულ ენასაც მსგავსი ბედი სწევია ჩვენში: მისთვის მიუჩენებიათ ისეთი ადგილი და ისეთი გარემოებით მოუცავთ, გეგონება განზრახ სურთ მოსწავლეებს იგი შეაძულონო“.

***

1878 წლის ჟურნალ „ივერიის“ მე-4 ნომერში ვკითხულობთ:

„ჩვენ მოგვივიდა წერილი, რომელშიაც აწერილია ერთი საშინელი ამბავი ამ სახით: „იანვრის ხუთმეტს (15—78 წ.) გახდა ავათ სემინარიის მეორე კლასის მოსწავლე კაპიტონ ქუთათელაძე და გარდაიცვალა იანვარსავე ოცს რიცხვს (20). ექიმი ეს თითქმის თვეა, რაც აღარ დადის სემინარიის საავადმყოფოში. ფერშალს, რომელიც სულ ქეიფზეა, ვკითხეთ — რითი არის ავად მოსწავლე და ექიმი საჭიროა თუ არა. მან გვიპასუხა სახადით არის ავადო და რაც შეეხება დოქტორს, უიმისოდაც იოლად წავალთო... უფ. კუჭინსკიმ (ინსპექტორი იყო. რედ.) განსვენებულის ამხანაგებს უბრძანა სახადიანთან არ შესულიყვნენ. სემინარიის საავადმყოფოს ერთი მოსამსახურე ბიჭი ჰყავს. იმას დღე თავის სამუშაო აქვს, საღამომდის იღლება და ღამე უნდა დაიძინოს სადღაც მეოთხე ოთახში. ამგვარად სიცხით გადარეული ავადმყოფი მოუვლელად რჩებოდა თურმე ღამ-ღამე. განსვენებულის ამხანაგებმა მის მშობლებს ტელეგრამით აცნობეს, მაგრამ მათ დაიგვიანეს. სემინარიის სამართველო არც დამარხვას ატყობინებს თურმე განსვენებულის მშობლებს. ოცს იანვარს ღამის პირველ საათზე სიცხით გადარეული და უპატრონოდ მიტოვებული ავადმყოფი ავარდნილა საწოლიდან და კარში სემინარიის ეზოში გასულა, აქ უნდა შევნიშნოთ წინააღმდეგ უფ. კუჭინსკის ბრძანებისა, ერთი გულითადი ამხანაგი დარჩენილა იმ ღამეს ავადმყოფთან, მაგრამ საუბედუროდ იმ დროს დასძინებოდა. უვლია ეზოში როგორც სხვადასხვა ალაგას დარჩენილი ფეხსაცმელები ამტკიცებენ და მერმე ერთი ხის ძირში წაქცეულა და გაყინულა. როცა ავადმყოფის ხროტინი სემინარიის ეზოს ყარაულს გაუგონია, უფიქრია მაშინებენ ბიჭებიო, მაგრამ ამ დროს მომვლელ ამხანაგს გაჰღვიძებია და რომ ვერ უნახავს ავადმყოფი, ფარნით ხელში გავარდნილა საძებრად, როგორც ამბობენ მაშინ კიდევ არ იყო მკვდარიო და დილის ხუთს საათზე გარდაიცვალაო...“ ნუ თუ ამისთანა საქმესაც მთავრობა ყურადღებას არ მიაქცევს“...

***

„დროების“ 1879 წლის მე-24 ნომერში არა ნაკლებ ამაღელვებელ და შემაძრწუნებელ ამბავს ვკითხულობთ:

„ჩვენ გვაცნობებენ, რომ ამ თვის 26-ს ერთი მესამე კლასის შეგირდი, გვარათ თოფურია გარდაცვლილა სემინარიაში, მიზეზი გარდაცვალებისა როგორც დაგვარწმუნეს იყო თურმე ცუდი საჭმელ-სასმელი, აყროლებული ხორცითა და გაფუჭებული დამპალი კომბოსტოთი ხეთქენ თურმე ყმაწვილებს. ერთი ყმაწვილიც არ მოიძებნება სემინარიაში რომ მრთელი კუჭი ჰქონდეს, ყველა ავად ხდება ამ საჭმელისაგანო. მაგრამ უბედურება ეს არის თურმე, რომ ავადმყოფსაც სანამ ფეხზე დგომა შეუძლიან ვერ გაუბედნია საავადმყოფოში წასვლა, რადგან უფ. ინსპექტორი კუჭინსკი არ უშვებს და თუ გაუშვა და დაწვა ახლა რექტორი შევა საავადმყოფოში და დაუწყებს საბრალო ავადმყოფს შეგირდს შერცხვენასა და კიცხვას, რომ ზარმაცი ხარო, სწავლა გეზარებაო, და იმიტომ მოსულხარ საავადმყოფოშიო“.

***

იგივე ავტორი წერდა ჟურნალ „დროებაში“:

„წარსულს ზაფხულში სოფელს საგარეჯოში გაიხსნა სახალხო სკოლაში სპეციალური კლასი მეურნეობის შესწავლისათვის. მასწავლებლად რუსეთიდან გამოიწვიეს იმისთანა პირი, რომელმაც ერთი სიტყვა არ იცოდა ქართული. ამ პირმა ნახევარს წელიწადს დაჰყო სოფელში შემდეგ ჩამოვიდა თბილისში და მოახსენა თავის მთავრობასა. ჩემი სამსახური სრულიად ფუჭად მიდისო, სოფელს ჩემი არაფერი ეყურება, მე სოფლის არაფერი მესმისო: სწავლებაც საშინლად უხეიროდ, გაუგებრად სწარმოებს, რადგანაც მოწაფეებს რუსული ენიდგან ბევრი რამ სრულიად არ ეყურებათო და მათ დედაენაზედ კი ახსნა არ შემიძლიანო, ამიტომ ვალად ვრაცხ თავი დავანებო ახლანდელს ჩემს ადგილსა, სადაც ტყუილ უბრალოდ ვიღებ ჯამაგირსო. უარი არ ეთქმოდა, აიღეს და დაითხოვეს. მაგრამ ვინ გაამწესეს მის მაგივრად? ისევ ისეთივე პირი, რომელსაც ქართული ცოდნა სრულიად არ აქვს, ისიც როდისა. როდესაც ქართველი სპეციალისტები, რუსეთში კურს შესრულებულნი, მეურნეობაში დახელოვნებულნი ადგილებს ვერსად შოვობენ და არ იციან სად და როგორ გამოიყენონ თავისი ცოდნა“.

„ჟურ. „დროება“ 1881 წ. № 50

*

გამომათაყვანებელი მეთოდი

(ი. მანსვეტაშვილის მოგონებიდან)

„რომ მოგეხსენებათ, ვინ განაგებდა 1870 წლებში რუსეთის განათლების ბედ-იღბალს. ესენი იყვნენ ა. ტოლსტოი და პობედონოსცევი — რუსეთის ხალხის სულის შემხუთველნი მისი ბოროტნი სულნი. ამათ ბოროტ განზრახვის წყალობით გამეფებული იყო ეგრედწოდებული „კლასიციზმი“ ე. ი. ლათინური და ბერძნული ენები და საეკლესიო სკოლები. ე. ი. სწავლა დამყარებული ჟამნ-დავითნზე და ეკლესიურ გალობაზე. მეტადრე გაფთრებული სისასტიკით მძვინვარებდა კლასიციზმი. თავებს გვახოცინებდნენ, სულს გვიხუთავდნენ, ტვინს გვიფიტავდნენ ლათინური „სუპინებით“ „აბლატივი აბსოლუტებით“ და ბერძნული „აორისტებით“. არსებითი სახელები და თანდებულნი, რომ მტკიცედ და სამუდამოთ ჩაგვბეჭდოდა მეხსიერებაში, ლექსებად იყო დაწყობილი და ასე თუთიყუშებივით იზეპირებდნენ. ეს უხეში და უგუნური მეთოდი ისე მოეწონათ, რომ სხვა სამოსწავლო საგნებშიაც შემოიღეს, მაგალითად გეოგრაფიაში.

მოგეხსენებათ, რომ იაპონია კუნძულზე სძევს, რომელთაგან სამია მოზრდილი და აღსანიშნავი, სახელდობრ: ნიპონი, იეზო და კიუ-სიუ და აი რომ ღმერთმა ნუ ქნას არამც და არამც ჩვენ სიცოცხლეში არ დაგვვიწყებოდა ეს დიდათ მნიშვნელოვანი სამი სახელი ასე გალექსილად გვასწავლიდნენ:

„ნიპონ, იეზო სიკოკო.
კიუ-სიუ დროიკოკო“.

...და ასეთი გზით, უნდა შთაენერგათ ჩვენში სიყვარული ძველი ცნებისა, აი ამ გზით უნდა აღეზარდათ ჩვენში ესთეტიური გრძნობა და გემოვნება.

ჩვენ კარგად გვესმოდა, რომ ყოველივე მხოლოდ ოინბაზობა და თვალის ახვევა იყო მთავრობის მხრივ. ჩვენ კარგად გვესმოდა მისი მუცლის გვრემა... ვერ მოგვატყუებდენ რომ ეს „კლასიციზმი მხოლოდ იმიტომ იყო შემოღებული რომ დაეხშოთ ჩვენი ჭკუა და გონება, მოეწამლათ სული და გული, აეშალათ ნერვები აუტანელი ტვირთით და გამოეფიტათ ტვინი. მიაღწიეს კიდეც ბევრად თავიანთ ზრახვას. რამდენი თავიდგანვე ჩამორჩა სწავლას, რამდენი ნახევარ გზაზე გაჩერდა და ბოლო ველარ გაატანა. თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა, რომ თუ მაგალითად პირველ კლასში 30 მოწაფე იყო, უკანასკნელ კლასამდე ამათგან ხუთი ექვსი თუ მიაღწევდა. დანარჩენი კი ცხოვრების ტალღებში ინთქმებოდენ“.

1919 წლის 5 იანვარს შესდგა მასწავლებელთა კავშირის ფილიალთა დელეგატების ყრილობა. ამ ყრილობაზე სკოლებისა და მასწავლებელთა მდგომარეობის შესახებ აი რა იყო ნათქვამი:

„სახალხო სკოლა და მისი მასწავლებელი მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. უმეტეს შემთხვევაში მასწავლებლებს არ მიუღიათ 4—5 თვის ხელფასი, ამიტომ ბევრი მასწავლებელი იძულებულია შიმშილისაგან თავის დასაღწევად თავი დაანებოს მასწავლებლობას და სხვა საქმეს მოკიდოს ხელი. ამნაირად ბევრგან სახალხო სკოლებში სწავლა არ სწარმოებს, და თუ სადმე სწავლა სწარმოებს, ისიც არანორმალურად, რადგანაც მასწავლებლებს პირობები ხელს არ უწყობს“.

ჟურ. „განათლება“ № 1, 1919 წ.

***

1920 წლის 12 იანვარს სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კონფერენციაზე დელეგატებმა აღნიშნეს:

„ძნელი წარმოსადგენია, როგორ არსებობს დღეს მასწავლებელი ფიზიკურად და როგორ ეწევა იგი შრომას“. კონფერენციის დელეგატი მასწავლებლები მიუთითებდნენ ყველა ტიპის და საფეხურის მასწავლებელთა ხელფასის სიმცირეზე, რომელიც „ლუკმა პურის ჩარჩენებს ვერ გასცდა“. სავალალო ის არის, რომ ამგვარი მდგომარეობით გადაგვარების გზას ადგია მასწავლებელი ფიზიკურად და გონებრივად, თვით ხალხში დაეცა მასწავლებლის ავტორიტეტი, როგორც დამშეული ადამიანისა“.

ჟურ. „განათლება“ № 4-5, 1920 წ.

***

ამავე კონფერენციაზე შორაპნის მაზრის წარმომადგენელი ვ. ჭანიშვილი აღნიშნავდა:

„მასწავლებლის ეკონომიურ გაჭირვებას სოფელი დასცინის: ხალხს სკოლაში ბავშვები აღარ შეჰყავთ. ხალხი რომ მასწავლებელს ხედავს, ამბობს „შენ რომ ისწავლე, რაში გეტყობა ეს სწავლა: თავი ვერ გირჩენიაო“... სკოლების შენობები უნუგეშო მდგომარეობაშია. სკოლის სანიტარულ და ჰიგიენურ მდგომარეობას ადგილობრივი ერობა და თემები ვერავითარ ყურადღებას ვერ აქცევენ“.

***

ამავე კონფერენციის რეზოლუციაში, სხვათაშორის აღნიშნულია:

1. სკოლის შენობები თითქმის ყველა სოფლებში უვარგისი და შეუფერებელია.
2. სკოლების რიცხვი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს მსურველთა მოთხოვნილებებს, განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის განაპირა კუთხეებში.
3. მასწავლებელთა სასურველი კონტინგენტი არ მოგვეპოვება, მომზადებულ მასწავლებელთა რიცხვი იმდენად მცირეა, რომ ზოგიერთი უკვე არსებული სკოლებიც დაკეტილია.
4. ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები არ აკმაყოფილებენ მასწავლებლებს ხვედრითი ჯამაგირებით.
5. თუშ-ფშავ-ხევსურეთში არ არსებობს არც ერთი სკოლა იმ დროს, როდესაც სწავლებისადმი წყურვილი მცხოვრებთა შორის საკმარისად განვითარებულია“.

ჟურ. „განათლება“ № 4-5, 1920 წ.

***

მენშევიკური რევიზორი ვინმე გ. ჩ.-ძე ასე აღწერს მასწავლებლების და სკოლების მდგომარეობას 1919 წელს თიანეთის მაზრაში:

„სკოლები დაგვიხვდა ფარეხებად გადაქცეული, მასწავლებლებსაც დაუყრია ყურები ამ რევოლუციის შემდეგ. სიძვირისა თუ სხვა პირობების გამო აქაურ მასწავლებელთა უმეტესობა ძალზე დაძაბუნებულია. სკოლისა და საერთოდ ამ კუთხის უპატრონოდ დარჩენას მასწავლებლობა დაუძაბუნებია და გაუტეხია. ვისაც სხვა გზა ვერ უშოვნია და აქ დაგვიხვდა, ყველა წელგაწყვეტილი და სასომიხდილი ვნახეთ: გალარიბებული, გამხდარი, ჩაუცმელ-დაუხურავი, 5-6 ადგილას დაკერებული შარვლითა და ხალათით. უმეტესობას ხვნა-თესვა დაუწყიათ და სკოლის შენობას თავს თუ აფარებდა. ბავშვები აღარც კი იყო. 1919 წელს გაზაფხულზე, თებერვალსა თუ მარტში გაბნეულან და სექტემბერს მოსულნიც არ ჩანან უკან მობრუნებულნი. მასწავლებლებიც ამისათვის ყურს არ იბერტყავენ, ბავშვებს სოფელში ნახირს ამწყესვინებენ, მასწავლებელი ყანა-ბაღჩას მუშაობს და უცდის სკოლაში, თუ როდის მოვლენ შეგირდები“.

ჟურ. „განათლება“ № 2, 1919 წ.

საბჭოთა კავშირში

★ უცხოეთის მუშათა დელეგატებმა, რომელნიც ჩამოსული იყვნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავის დღესასწაულზე, დაჰყვეს ერთ თვემდე საბჭოთა კავშირში და გაეცნენ ჩვენს უდიდეს მიღწევებს ყველა ფრონტზე, — ინახულეს სხვადასხვა რესპუბლიკები, ქალაქები, საწარმოები, დიდად აღტაცებულნი დარჩნენ და ახლა უკვე ბრუნდებიან თავთავიანთ ქვეყნებში.

★ თბილისში უკვე შემოტანილია 100 ათასი წყვილი კალოში (ამაში არ შედის, რაც უნივერმაღმა მიიღო). ამ დღეებში შემოიტანენ კიდევ 20 ათას წყვილს. წლის ბოლომდე თბილისი მიიღებს 200 ათას წყვილს — კაცის, ქალის და ბავშვის — კალოშს.

★ საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-საგამოკვლევო ინსტიტუტის თანამშრომელმა ამხ. ფ. დ. კვაშალიმ მონახა საშუალება მაღალ ღირსებიან საკვების დასამზადებლად მეფრინველეობისა და მეღორეობის მეურნეობებისათვის; ეს საკვები შესცვლის ფქვილს; იგი მომზადდება აბრეშუმეულის საწარმთა ნარჩენებისაგან.

★ ახლოვდება ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ბავშვების საყვარელი დღე — ახალი წელი. თბილისისა და კავშირის სხვა ქალაქებში საბავშო ორგანიზაციები უკვე შეუდგნენ სამზადისს ნაძვის ხის მოწყობისათვის. მალე დაიწყება ვაჭრობა ნაძვის ხით და მისთვის დამზადებული სათამაშოებით.

★ **მასწავლებლის სახლში (თბილისში)** დაარსდა კაბინეტი ანტირელიგიური მუშაობისათვის. კაბინეტში ეწყობა საუბრები, ლექციები და კონსულტაცია ანტირელიგიურ თემებზე. კაბინეტის ლექტორები საუბრებს ატარებენ აგრეთვე სკოლებში.

★ თბილისში, 1 დეკემბერს, გაიხსნა ს. მ. კიროვის ძეგლი, რომელიც გააკეთა მოქანდაკე კ. მერაბიშვილმა. ძეგლი დადგმულია კიროვის სახელობის ბაღში (ორჯონიკიძის რაიონში — ვერაზე).

★ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა მონაწილეობა მიიღოს შოთა რუსთაველის იუბილეზე თბილისში, რისთვისაც გამოჰყო დელეგაცია აკადემიკოს ორბელისა და პროფესორ დონდუას შემადგენლობით.

★ გაცხოველებით სწარმოებს ციტრუსების კრეფა აჭარაში, აფხაზეთში და საქართველოს სხვა რაიონებში. 25 ნოემბერს, ლიმონტრესტის მხოლოდ 6 საბჭოთა მეურნეობაში დაკრიფეს 9 მილიონი მანდარინი, 400 ათასი ლიმონი და 20 ათასი ფორთოხალი.

★ 6 დეკემბერს, რეკორდების დღეს, თბილისის სადოღო მოედანზე მოეწყობა ცხენოსან ნაწილების მებრძოლთა შეჯიბრება ჯირითში.

★ ხარკოვში ამუშავდა პირველი ქარხანა საბჭოთა კავშირში, რომელიც გამოიმუშავებს ბენზინს ნახშირიდან. უკვე მიღებულია ნახშირიდან მაღალხარისხოვანი ბენზინი.

მხართეძოზე ეძინათ

17 და 18 ნოემბერს ჩატარდა ქუთაისის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშათა პროფკავშირის კონფერენცია. კონფერენციამ მოისმინა რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებანი, რომელთა გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი. კამათში გამოსულებმა მკაცრად გააკრიტიკეს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მუშაობა. კავშირის რაიონული კომიტეტი სუსტ ხელმძღვანელობას უწევდა ძირეულ რგოლებს, თვით რაიკომის აპარატი დანაგვიანებული იყო ხალხის მოსისხლე მტრებით, რომლებიც ხელოვნურად შლიდნენ კავშირის მუშაობას, არ მუშაობდა მასწავლებლის სახლი, არ ტარდებოდა საწარმოო თათბირები, და სხვ.—აღნიშნავდნენ მოკამათენი.

კონფერენციაზე გამოამჟღავნეს უღირსი მასწავლებლები **ჩარგეიშვილი** და თუმანიშვილი, რომლებიც ჩაეფლნენ ყოფაცხოვრებით გახრწნილების მორევში. მათ წინააღმდეგ რაიკომი არ ღებულობს ზომებს.

დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის რაიკომისა და სარევიზიო კომისიის მუშაობა სუსტად იქნა ცნობილი. არჩეულ იქნა რაიკომისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა. კავშირის რაიკომის თავმჯდომარედ აირჩიეს ი. ფერაძე.

ალ. გაჩეჩილაძე.



სკოლამდელთა შორის იშვიათი სანახავი არ არის ბავშვები, რომლებმაც უკვე იციან არამარტო ანბანი, არამედ ზღაპრებსაც კი კითხულობენ.
სურათზე: (მარჯვნიდან მარცხნივ) წერა-კითხვის მცოდნე ელგურ ცინცაძე თავისუფალ თამაშობის დროს უკითხავს ზღაპარს ლამარა ქემოკლიძესა და ცია ლა. გაგნიძეს ფოტო რიშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

გილოცავთ შესანიშნავ წლისთავს

1889 წლიდან დავიწყე პედაგოგიური მოღვაწეობა, ვმასწავლებლობდი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში: გურიაში, ქართლში, იმერეთში, სვანეთში და სხვ. მშრომელ მოსახლეობაში მუდამ ვსარგებლობდი ნდობითა და სიყვარულით. 1905 წელს ვხელმძღვანელობდი მასწავლებელთა გაფიცვას და აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი გლეხთა აჯანყებაში, რისთვისაც ციხეში მიკრეს თავი. განთავისუფლების შემდეგ პირველ ხანებში ამიკრძალეს მასწავლებლობა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ მომაშორეს ჩემს საყვარელ საქმეს.

ვინ იცის, რამდენი ვაივაგლახი გადამიტანია, რომ სოფლად სკოლა გამეხსნა, ვინ მოსთვლის, რამდენი დამცირება განმიცდია, რომ მშობლიურ ენაზე მესწავლებინა.

ისტორიას ჩაბარდა ძველი სკოლის კოშმარები. ძლევამოსილმა ოქტომბერმა აღადგინა დაცემული სკოლა და შებღალული ენა. ლენინ-სტალინის პარტიის, ხალხთა დიდი ბელადის ბრძენი სტალინის მზრუნველობითა და ყოველდღიური დახმარებით აყვავდა საქართველოს კულტურა, აღორძინდა სკოლა.

მოვესწარი რაც მინდოდა. სტალინურმა კონსტიტუციამ გამაახალგაზრდავა. სიკვდილს აღარ ვაპირებ. მინდა ვიცოცხლო კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე. ვიცოცხლებ კიდეც. ამის თავდებია დიდი სტალინისა და მისი საუკეთესო მოწაფის ამხ. ლ. ბერიას მზრუნველობა სკოლასა და მასწავლებელზე.

გილოცავთ ყველას სტალინური კონსტიტუციის წლისთავს.

დამსახურებული მასწავლებელი.
მიხეილ გიორგაძე

ბედნიერი ვარ

უსაზღვროდ მახარებს, რომ მონაწილეობას ვღებულობ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნებში. 12 დეკემბერს პირველად ჩემ სიცოცხლეში ჩავიღებ საარჩევნო ბიულეტენს, ამ უაღრესად დიდ დოკუმენტს, რომლითაც თითოეული ამომრჩეველი გამოხატავს თავის ნებასურვილს.

საარჩევნო კამპანია უდიდეს საპასუხისმგებლო როლს გვაკისრებს მოსწავლე ახალგაზრდობას. ჩვენც უნდა ვიყოთ საარჩევნო კანონის აგიტატორი, პროპაგანდისტი. ვკისრულობ ვალდებულებას, რომ საფუძვლიანად შევისწავლო საარჩევნო დებულება და გავხდე სწავლის ფრიადოსანი.

ვლ. ჩოჩუა

თბილისის პედაგოგიური სასწავლებლის მე-2 კურსის მსმენელი.

ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ

მოკლე ცნობები

● ესპანეთის ფრონტებზე სწარმოებს პატარა ბრძოლები, რაც დიდი ბრძოლების მომასწავებელია, ალბათ ცენტრალურ (მადრიდის) ფრონტზე ფაშისტური ავიაცია ყუმბარებს უშენდა სოფლებს. არიან დაჭრილ-მოკლულნი. საჰაერო ბრძოლის შედეგად, რომელშიც მონაწილეობდა რესპუბლიკელთა 18 ავიაგამანადგურებელი, მეამბოხეთა 23 თვითმფრინავის წინააღმდეგ, ფაშისტთა თვითმფრინავები იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ. ფაშისტთა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ქალაქ გვადალახარს, დაანგრიეს ბევრი სახლი. ნანგრევებიდან ამოიღეს 31 გვამი და ამოიყვანეს 50-ზე მეტი დაჭრილი.

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტზე რესპუბლიკელთა ავიაციამ, მიიღო რა ცნობები, რომ სოფელ ალმედევარში ხდება მეამბოხეთა კონცენტრაცია — დიდი ეფექტით დაუშინა ყუმბარები იმ შენობებს, რომლებშიაც მოთავსებული არიან ფაშისტთა ნაწილები. რესპუბლიკელთა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა სამხედრო ობიექტებს კალატაიუდში, ტერუელსა და ატეკაში, რომლებიც მეამბოხეთა კონცენტრაციის ცენტრებს წარმოადგენენ.

● მანჯოუგოს მთავრობამ გადასწყვიტა იცნოს ფრანკო. იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ დღეიდან იცნობს მხოლოდ იმ პასპორტებს, რომლებიც გაცემული იქნება ფრანკოს მიერ.

● იაპონელებმა შექმნეს კიდევ ერთი „სახელმწიფო" ჩინეთში — ხენანის პროვინციაში, რომლის დიდი ნაწილი ჩინელთა ხელშია და მხოლოდ ჩრდილოეთის პატარა ადგილი შედის ახალ „სახელმწიფოში". ხენანის ჩრდილო ნაწილის ქალაქში ჯანდეში შესდგა ნანკინისაგან სრულიად დამოუკიდებელი „ახალი მთავრობა"; — ეს ამბავი მხოლოდ სიცილს იწვევს მთელ მსოფლიოში.

● ცენტრალურ ჩინეთში ბრძოლები სასტიკ ხასიათს ღებულობს. ჩინური გაზეთის ცნობით — იაპონელებმა დიდძალი ჯარი დააგროვეს ქალაქ გუანდესა და უხუზე (შანხაი-ხანჯოუს რკინიგზაზე).

● იაპონელთა ავიაცია ყუმბარებს უშენს ჩინეთის ქალაქებს, მთლიანად დაანგრიეს ქალაქი ლიშუი (ნანკინიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 50 კილომეტრზე), ქუჩები სავსეა დაჭრილ-დახოცილებით.

● იაპონელები ემზადებიან სამხრეთ ჩინეთში შესაჭრელად. მათ გადასხეს დესანტი მდინარე მარგალიტის ერთერთ კუნძულზე, სადაც ისინი მოაწყობენ საავიაციო ბაზას კანტონზე და სხვა ქალაქებზე თავდასასხმელად.

● როგორც გაზეთები იუწყებიან — კუნძულ ფორმოზაზე (იაპონიისაა) გადაიყვანეს იაპონელთა ჯარის 1 დივიზია.

● შანხაიდან სამხრეთისაკენ გაიგზავნა რამდენიმე სამხედრო გემი.

● ჩინურ წრეებში ელიან სამხედრო მოქმედებათა დაწყებას გუანდუნის პროვინციაში.

● ინგლისის გაზეთი „ტაიმსი" აღნიშნავს, რომ „იაპონიას ძვირად დაუჯდება ახალი რაიონების დაპყრობა ჩინეთში. იაპონიის მისწრაფება — ამ რაიონებში შექმნას პატარ-პატარა მთავრობები, იმ იმედით, რომ დააჩქაროს ამით შერიგება და სამშვიდობო ხელშეკრულების დადება ჩინეთთან, დროის უბრალოდ დაკარგვაა. იაპონიას ჰგონია, რომ მისი დანიშნულებაა მთელი მსოფლიოს დამარცხება, მაგრამ ანგარიშს არ უწევს იმას, თუ რამდენი ასეთი შემცდარი დამპყრობელი დაღუპულა წარსულში"-ო.

● ჩინეთის ჯარები ჩრდილოეთში წინ მიიწევენ. მათ იაპონელებს უკანვე წაართვეს ქალაქები ცზესია და ფიხ-იახი (შანსის პროვინციაში) და დაიწყეს შეტევა ცასიანსა, ვენშოუსა და ციაოჩენზე. ტაიგუდან უკან დაიხია იაპონელთა 10-ათასიანმა ჯარმა. ჩინეთის ჯარებმა აიღეს აგრეთვე პუტია (შანდუნის პროვინციის ჩრდილო ნაწილში) და ოთხი პუნქტი ტიანძინ-პუკოუს რკინიგზაზე.

● შანხაის ფრონტზე ჩინეთის სანაპირო არტილერიამ ჩასძირა იაპონელთა რამდენიმე გემი ხანჯოუს ყურეში.

● იაპონელთა სამხედრო გემებს ძალიან ეშლებათ ხელი წინსვლაში მდინარე იანძიზე, რომელიც ჩინელებმა ჩახერგეს.

● ხუნჯოუში, საიდანაც დაიხია ჩინეთის ჯარმა, დარჩა ერთი ათასეული, რომელიც განაგრძობს იაპონელთა წინააღმდეგ გმირულ ბრძოლას. იაპონელთა სარდლობამ წინადადება მისცა ათასეულის უფროსს და მის თანაშემწეს დანებებაზე და შეჰპირდა მათ ქალაქის თავისა და პოლიციის უფროსის თანამდებობებს. მიუხედავად იმისა, რომ ათასეულის უფროსის — პოლკოვნიკ დაოს ცოლი და ნათესავები იაპონელებს ჰყავთ ძმევლად, დაომ უარჰყო იაპონელთა წინადადება.

● ქალაქ ჩენჯოუში (კენანის პროვინციაში) დახვრიტეს ორი ჩინელი—იაპონელთა ჯაშუშები, სამი კორეელი - იაპონელთა ჯაშუშები დააპატიმრეს ჩუნცინის აეროდრომზე (სიჩუანის პროვინციაში).

● სინანში (შენსის პროვინციის დედაქალაქი) შესდგა დიდი დემონსტრაცია ნიშნად მოწონებისა, რომ სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს გამცემ ჩენ და-სიუეს.

● საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საბერძნეთში ამხ. შარონოვი, რომელიც დანიშნულია აგრეთვე ალბანეთშიც, 1-ლ დეკემბერს წარუდგა ალბანეთის მეფეს და ჩააბარა რწმუნების სიგელები.

● შვეიცარიის გაზეთები ბეჭდავენ დაწვრილებითს ცნობებს ლიტვინოვის სიტყვიდან საარჩევნო კრებებზე ლენინგრადში.

● სამხრეთ საფრანგეთში აღმოაჩინეს დიდი ფაშისტური შეთქმულება. სწარმოებს გამოძიება, ჩხრეკა და დაპატიმრება.

წინად და ახლა

ბევრი ტანჯვა და წამება გამომიცდია ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის 32 წლის მანძილზე, აუტანელი იყო ის პირობები, რომლებშიაც მე მიხდებოდა ცხოვრება და მასწავლებლობა. შიმშილი, გაჭირვება, დევნა და აბუჩად აგდება—აი სახალხო მასწავლებლის ხვედრი შავბნელ წარსულში! მაგრამ ბრწყინვალე მომავლის მოლოდინში გულს მაინც არ ვიტეხდი. მრწამდა, რომ ადრე თუ გვიან მასწავლებელი აღდგებოდა თავის უფლებებში. ასრულდა ჩემი ოცნება... ძლევამოსილმა ოქტომბერმა, კომუნისტურმა პარტიამ და დიდი სტალინის მზრუნველობამ აღადგინა თავის უფლებებში სკოლა და მასწავლებელი.

თუ მეფის რეჟიმის დროს ჩუმად, ქურდულად ვასწავლიდი მუშებსა და მათ შვილებს წერა-კითხვას მშობლიურ ენაზე, დღეს სტალინური კონსტიტუციით თითოეულ მოქალაქეს აქვს განათლების უფლება, რომელიც უზრუნველყოფილია საყოველთაო - სავალდებულო განათლებით, უფასო განათლებით, დედაენაზე სწავლებით... ამაზე მეტი სიხარული ჩემთვის წარმოუდგენელია.

თუ წინად უმაღლესი სკოლის კარები ღია იყო მხოლოდ რჩეულთათვის, დღეს უმაღლესი სწავლა უზრუნველყოფილია ყველა მშრომელისათვის.

თუ წინად ვღებულობდი უმნიშვნელო გროშებს, რომლითაც მოთხოვნილების მინიმუმსაც კი ვერ ვაკმაყოფილებდი, დღეს სავსებით, უზრუნველყოფილი ვარ მატერიალურად,—ვცხოვრობ ბედნიერად. ამ ბედნიერების შემოქმედია დიდი **სტალინი. მადლობა და დიდება მას!**

ვარვარა ქართველიშვილი

მე-3 არასრული საშუალო სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.

ჭადრაკი

2 დეკემბერს დამთავრდა საქართველოს დაწყებითი და საშუალო სკოლების მუშაკთა კავშირის მოჭადრაკეთა 111 ტურნირი. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის და ალბულაღის რაიონის მოჭადრაკეებმა.

ტურნირის შედეგი ასეთია:

პირველ ადგილზე გამოვიდა თბილისელი ა. ზახარიანი, რომელმაც 9 შესაძლებლობიდან 7 ქულა შეაგროვა. მეორე ადგილზე გამოვიდა სოხუმელი შალვა ტაბიძე: მოაგროვა 6-ნახევარი ქულა. მესამე ადგილზე — კონკურსს გარეშე მონაწილე ალბულაღელი — დ. დეკანოსიძე: 6 ქულა. მეოთხე და მეხუთე ადგილები გაიყვეს ქუთაისელმა მ. კუპუხიძემ და შარშანდელ ტურნირში გამარჯვებულმა ბათუმელმა გ. ბურნაძემ. თახახმად ტურნირის პირობისა, კავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ამხ. ამხ. ზახარიანი, ტაბიძე, კუპუხიძე და ბურნაძე დააჯილდოვა ძვირფასი საჩუქრებით.

უნდა ითქვას, რომ ამ ტურნირმა სათანადო შედეგი ვერ მოგვცა: ამას არ ესწრებოდა მასწავლებელთა ფართო მასა. ჩვენ არ გვაქვს ამ ტურნირის პარტიების გარჩევის შესაძლებლობა, რადგან პარტიის მსვლელობის ჩაწერა არ სწარმოებდა, რაც ტურნირის მსაჯის დიდი შეცდომაა, თამაში სწარმოებდა აგრეთვე დროის აღურიცხველად (საათების უქონლობის გამო). ეს იმას მოწმობს, რომ ტურნირის ჩასატარებლად სათანადოდ არ იყო დამუშავებული ორგანიზაციული საკითხები.

ძლიერ ცოტა რაიონი იღებდა მონაწილეობას ტურნირში. მიუხედავად იმისა, რომ დაწყებითი და საშუალო სკოლების ცენტრალურმა კომიტეტმა დროზე მისცა რაიონებს ცნობა გამოსაგზავნ წარმომადგენლების რაოდენობის შესახებ, კავშირის რაიკომების ზოგიერთმა მუშაკმა სათანადო მუშაობა არ ჩაატარა ამ საკითხის გარშემო. მომავალ წელს კავშირის რაიკომებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საქმეს.

დამსწრე

მასწავლებლის სახლში

(ფურცელაძის ქ. № 8)

ეწყობა ლექციათა ციკლი მატერიალისტური დიალექტიკის თეორიიდან. პირველი ლექცია შესდგება 7 დეკემბერს საღამოს 8 საათზე. თემა: „ასახვის თეორია" ლექტორი პროფ. ქ. ბაქრაძე.

დასწრება თავისუფალია.

სარედაქციო კოლეგია

მისამართი: თბილისი, ფურცელაძის ქ. № 3, გაზ. „კომუნისტური განათლების" რ ედქცია, ტელეფონები პ/მგ. რედაქტორის და პ/მგ. მდივნის 3—67—47.

სოლ. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული 32876